საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10. 10230166**

თარიღი:**16/01/2023**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების

შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პირველი პუნქტის "ე.ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების - "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" შესრულების უზრუნველყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში ორიექტების შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით და ფუნქციებით;

- ირაკლი პერტენავა პირველი მერის მოადგილე, ფუნქციები: პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან;
- გიგლა ჯვარელია - მერის მოადგილე; ფუნქციები: პროგრამის კოორდინაცია, შერჩეული საპროექტო განხილული პროექტების მერისათვის წარდგენა.
- ზაური თელია - მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ფუნქციები: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;
- იასონ კიზირია - ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი, ფუნქციები: შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება
- მირზა ქვილითაია - ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი, ფუნქციები: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება;
- ლეონტი ნადარეიშვილი - ინფრასრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი, ფუნქციები: მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით ;

- თეიმურაზ ნოდია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ფუნქციები: პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზაციის წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა;
- დიმიტრი ცანავა, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ფუნქციები: ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მეტერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით;
- დათო თოფურია - მუნიციპალური ქონებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი, ფუნქციები: მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებებისას – მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება (უძრავი ქონების კუთვნილების დადგენა);
- ვერა ჯიბლაძე, ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი. ფუნქციები: მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Fვებ-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერიის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის;
- გელა ზაქარაია, ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, ფუნქციები: მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტირებით მხარდაჭერა;

2. ბრძანება ხელმოწერის დღიდან;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი რუსთაველის ქ # 247) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიგა გაბელაია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი